ბიზნეს სიახლეები

2026 წლის II კვარტალის გამოქვეყნებული სიახლეები

საგადასახადო სიახლეები

! გამოქვეყნდა საჯარო გადაწყვეტილება N142, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ან მხარდაჭერილი (სუბსიდირებული) ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრის საკითხებს.

საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის ორგანოს ან სსიპ-ის საქმიანობა არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად, თუ იგი მოქმედებს როგორც სახელმწიფო ორგანო და ახორციელებს დელეგირებულ უფლებამოსილებას (მაშინაც კი, როდესაც საქმიანობა დაკავშირებულია მოსაკრებელთან, საფასურთან ან სხვა გადასახდელთან).

გადაწყვეტილება განმარტავს, რომ საჯარო სუბიექტის საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიიჩნევა ეკონომიკურ საქმიანობად, თუ:

- იგი ახორციელებს საჯარო სამართლით შესაბამისი საჯარო უწყებისთვის სპეციალურად რეგულირებულ საქმიანობას და ფაქტობრივად მოქმედებს, როგორც სახელმწიფო ორგანო;

- იგი არ ახორციელებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ იმ საგამონაკლისო საქმიანობებს, რომელთა განხორციელება საჯარო სუბიექტის მიერ მაინც მიიჩნევა ეკონომიკურ საქმიანობად;

საჯარო გადაწყვეტილებამ განმარტა, რომ სუბსიდიის (სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ფინანსური დახმარების) თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანება დღგ-ით დასაბეგრ ბაზაში, თუ იგი პირდაპირაა დაკავშირებული საქონლის/მომსახურების ფასთან (ანუ ცვლის რეალურ ფასს შემძენისთვის). ასეთ შემთხვევაში სუბსიდია წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ მიღებული საერთო ანაზღაურების ნაწილს, რადგან მისი მიზანია საბოლოო ფასის შემცირება მომხმარებლისთვის. მისი ოდენობა, როგორც წესი, განისაზღვრება მიწოდების მოცულობის მიხედვით, წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ მიღებული საერთო ანაზღაურების ნაწილს და მის გარეშე ოპერაცია უფრო მაღალი ფასით განხორციელდებოდა.

შესაბამისად, საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ითვლება განხორციელებულად საბოლოო მომხმარებლის მიმართ სრული ღირებულებით (სუბსიდიის თანხის ჩათვლით), და მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა გამოიწერება მომხმარებელზე სრულ დასაბეგრ თანხაზე, მიუხედავად იმისა, რომ თანხის ნაწილი გადახდილია მესამე პირის მიერ. ამასთან, ასეთ შემთხვევაში დასაბეგრ პირს უფლება აქვს სრულად ჩაითვალოს გადახდილი დღგ-ის თანხა.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის N142 საჯარო გადაწყვეტილება „სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ან მხარდაჭერილი ცალკეული ოპერაციების დღგ-ით დაბეგვრის საკითხების შესახებ"

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

2026 წლის 15 მაისი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/23213da5-e47a-4d8f-ab2f-ea6fec058bde?openFromSearch=true



გამოქვეყნდა საჯარო გადაწყვეტილება N143, რომელიც არეგულირებს ფიზიკური პირის მიერ აქტივის მიწოდების შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხებს.

როგორც ვიცით, ფიზიკური პირის მიერ ბინის ან სახლის რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი იბეგრება საშემოსავლო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით, ხოლო ორ წელზე მეტი ვადით ფლობილი საცხოვრებელი ქონების რეალიზაციიდან მიღებული ნამეტი შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან.
საჯარო გადაწყვეტილებამ განმარტა, რომ საცხოვრებელი ქონების სტატუსი დამოკიდებულია ქონების ფაქტობრივ ფუნქციურ დანიშნულებაზე და არა მხოლოდ სარეგისტრაციო ჩანაწერებზე. ქონება კვალიფიცირდება როგორც საცხოვრებელი ბინა ან სახლი, თუ ის წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთეულს, განკუთვნილია საცხოვრებლად, აქვს ძირითად კომუნალურ ქსელებთან მიერთების შესაძლებლობა და არ არის სხვა, არასაცხოვრებელი საქმიანობის ნაწილი.

საჯარო გადაწყვეტილებამ დაარეგულირა აქტივის მიწოდების შემდეგი შემთხვევები:

- სასტუმროს ინფრასტრუქტურის ფარგლებში არსებული ფართობის მიწოდება;

განიმარტა, რომ სასტუმროს ნომრის ფლობა არ ნიშნავს საცხოვრებელი ბინის ფლობას. რადგან ის სასტუმროს სისტემის ნაწილია და დროებითი განთავსებისთვისაა განკუთვნილი, მასზე ვერ გავრცელდება საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებული შეღავათი.

- წინარე ხელშეკრულებით მიღებული უფლების მიწოდება;

განიმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ხდება უფლების და არა უძრავი ქონების მიწოდება. ამდენად, ოპერაცია არ განიხილება საცხოვრებელი ქონების მიწოდებად.

- მშენებარე ბინის/სახლის მიწოდება;

მშენებარე ბინა/სახლი საცხოვრებელ ბინად/სახლად განიხილება, თუ იგი თავისი პროექტითა და დანიშნულებით წარმოადგენს საცხოვრებელ ერთეულს და შემძენს გადაეცემა მისი საცხოვრებლად გამოყენებისთვის საჭირო ყველა ძირითადი უფლება.

- საკუთარი ძალებით აშენებული საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება;

საკუთარი ძალებით აშენებული საცხოვრებელი ბინის/სახლის ფლობის ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი დარეგისტრირდა როგორც უძრავი ქონება.

- მიწის სანაცვლოდ მიღებული საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება;

მიწის სანაცვლოდ მიღებული უძრავი ქონების (ბინის/სახლის) მიწოდებისას შეძენის ფასად მიჩნეულ იქნება მიწის საბაზრო ღირებულება გადაცემის მომენტში. ამასთან ასეთი აქტივის ფლობის ვადა აითვლება მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტიდან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო გადაწყვეტილება განმარტავს, რომ მარეგისტრირებელ ორგანოში უფლებრივად ერთ საგნად რეგისტრირებული აქტივის გაყოფის შემთხვევაში მიღებული აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა აითვლება გაყოფამდე არსებული აქტივის საკუთრებაში ფლობის თარიღიდან. ამასთან, თუ ორი ან მეტი აქტივი ერთიანდება და მათგან ერთი ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო საკუთრებაში, ხოლო მეორე – ნაკლები, თითოეული აქტივი დამოუკიდებლად ფასდება.

განიმარტა, რომ საცხოვრებელი ბინის/სახლის გაქირავება ან სამეწარმეო საზოგადოების რეგისტრირებულ იურიდიულ მისამართად გამოყენება არ უცვლის ობიექტს ხასიათს და არ აქცევს მას არასაცხოვრებელი დანიშნულების ფართად.

საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ ფიზიკურმა პირმა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, რომელსაც აქვს სისტემური და ორგანიზებული ხასიათი, მოახდინა საცხოვრებელი ბინის/სახლის მიწოდება, აღნიშნული არ ჩაითვლება ბინის/სახლის რეალიზაციად. სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა საქმიანობა, რომელიც ატარებს სისტემატურ და ორგანიზებულ ხასიათს. სისტემატურ და ორგანიზებულ საქმიანობად კი მიიჩნევა ისეთი საქმიანობა, რომლის ფარგლებში პირი აქტივების შექმნას, შეძენას ან რეალიზაციას ახორციელებს როგორც დამოუკიდებელ და ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას, რეგულარული შემოსავლის მიღების მიზნით. საცხოვრებელი ბინების/სახლების მხოლოდ ფლობა, მათი რაოდენობა, ფლობის ხანგრძლივობა და შემდგომი გასხვისება, თავისთავად არ წარმოადგენს საქმიანობის სამეწარმეო საქმიანობად დაკვალიფიცირების საკმარის საფუძველს.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის N143 საჯარო გადაწყვეტილება „ფიზიკური პირის მიერ აქტივის მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის საკითხებზე"

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

2026 წლის 15 მაისი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/e4550d03-19d8-46d7-92ad-f87a91732212?openFromSearch=true

! ცვლილება შევიდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის N195-ე საჯარო გადაწყვეტილებაში ბარტერული (გაცვლის) ოპერაციების დაბეგვრის შესახებ.

როგორც ვიცით, აღნიშნული საჯარო გადაწყვეტილება არეგულირებს გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხს, როდესაც ამ გარიგების ფარგლებში ხორციელდება უძრავი ნივთის მიწოდება. საჯარო გადაწყვეტილების თანახმად, თუ მიღებული/მისაღები საქონლის/მომსახურების სანაცვლოდ დასაბეგრი პირის მიერ საქონლის მიწოდებასთან/მომსახურების გაწევასთან ერთად ხორციელდება ფულადი ანაზღაურებაც, დღგ-ით დასაბეგრი თანხის განსაზღვრისას, მისაღები საქონლის/მომსახურების ღირებულება უნდა შემცირდეს დასაბეგრი პირის მიერ ფულადი სახით გადახდილი/გადასახდელი ანაზღაურების ოდენობით.

ცვლილებამ დაარეგულირა დღგ-ით დასაბეგრი თანხის განსაზღვრის წესი იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ბარტერული ოპერაციისას ხორციელდება შერეული ანაზღაურება (ფულადი და არაფულადი), ხოლო პირის მიერ მიღებული ქონების საბაზრო ღირებულება ნაკლებია გარიგების ფასზე და შედეგად, დასაბეგრი თანხა (საბაზრო ფასსა და ფულადი კომპონენტის ოდენობას შორის სხვაობა) გამოდის უარყოფითი სიდიდე.

საჯარო გადაწყვეტილება აღნიშნავს, რომ თუ გარიგება დადებულია თავისუფალი კონკურენციისა და სუბიექტთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებში და არ იკვეთება ფასის ხელოვნურად შეცვლის (გაზრდის ან შემცირების) გარემოებები, დღგ-ით დასაბეგრი თანხის განსაზღვრისას გამოიყენება მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგების ფასი, ნაცვლად საბაზრო ფასისა.

მაგალითი: ფიზიკური პირი საწარმოს საკუთრებაში გადასცემს მიწის ნაკვეთს, რომლის სანაცვლოდ საწარმო ახორციელებს ანაზღაურებას, ნაწილობრივ – ამავე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობა-ნაგებობის მიწოდებით, ხოლო ნაწილობრივ – ფულადი ანგარიშსწორებით. მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგების ფასი შეადგენს 1 100 000 ლარს, საიდანაც ფულადი კომპონენტი 700 000 ლარია. კომპეტენტური შემფასებლის დასკვნის მიხედვით, მიღებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 600 000 ლარით განისაზღვრა.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მხარეთა შორის შეთანხმებული გარიგების ფასი აღემატება ექსპერტის მიერ დადგენილ მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასს, დღგ-ით დასაბეგრი თანხის განსაზღვრისას, საფუძვლად შეთანხმებული ფასი აიღება. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში საწარმოს მიერ მიწოდებული უძრავი ქონების დღგ-ით დასაბეგრი თანხა შეადგენს 400 000 ლარს (გარიგების ფასს (1 100 000 ლარს) გამოკლებული გადახდილი ფულადი ანაზღაურება (700 000 ლარი).

ნორმატიული აქტი:

საქართველოს ფინანსთა მინისტრის N195 საჯარო გადაწყვეტილება გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის თაობაზე, ამ ოპერაციის ფარგლებში უძრავი ნივთის მიწოდებისას“

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

2026 წლის 19 მაისი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/d68b7982-34bb-4caa-af26-d70e2c21c521

! შეიცვალა აქციზის ფიქსირებული განაკვეთი მსუბუქ ავტომობილებზე.

2026 წლის 2 აპრილიდან მსუბუქ ავტომობილებზე (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 სასაქონლო პოზიცია) ამოქმედდა აქციზის გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი. კერძოდ, 0 დან 6 წლის ჩათვლით მსუბუქი ავტომობილები დაიბეგრება აქციზის ერთიანი განაკვეთით, 1.50 ლარის ოდენობით ძრავის მოცულობის 1 სმ^3-ზე, ხოლო 6 წელზე ზემოთ ავტომობილებისთვის აქციზის განაკვეთი გაიზარდა და შეადგენს 4.50 ლარს ძრავის მოცულობის 1 სმ^3-ზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სიახლე არ შეხებია და აქციზის განაკვეთი არ შეცვლილა ჰიბრიდული და მარჯვენა საჭიანი ავტომობილებისთვის.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

2026 წლის 2 აპრილი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/08f99c5d-74ab-4bae-94c6-0357cb9f8bdb

მომსახურება, რომლის შეძენაც თიზ-ის საწარმოს არ ეკრძალება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული პირისგან.

2026 წლის 24 აპრილს, საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, იმ მომსახურებათა ჩამონათვალს, რომელთა შეძენაც თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსთვის ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსი), დაემატა ახალი მომსახურების სახე, კერძოდ - თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ორგანიზატორის ან/და ადმინისტრაციის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის (მათ შორის, იჯარის, ქირავნობისა და აღნაგობის) უფლებით გადაცემა.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს მთავრობის N463 დადგენილება „მომსახურებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა შეძენა საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსა) არ ეკრძალება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს".

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

2026 წლის 24 აპრილი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/74478c2e-c42e-41b2-9407-baa15b497af7

ECOVIS®

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

! ცვლილება შევიდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც გაფართოვდა კანონის მოქმედების საგამონაკლისო შემთხვევები და განისაზღვრა, რომ ამ კანონის მე-15-16[6]-ე მუხლებით პირისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების გასაჩივრება არ აფერხებს შრომითი იმიგრანტის საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვას ან/და შრომითი იმიგრანტის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას.

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს იმ ურთიერთობებს, რომლებიც უკავშირდება უცხოელის საქართველოში შრომით მოწყობას და მის მიერ ანაზღაურებადი შრომითი/სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, რომელთა შესახებაც არ მოქმედებს შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონი.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, ამავე კანონის პირველი მუხლის მე-4 ნაწილს დაემატა ჩანაწერი, რომლითაც განისაზღვრა, რომ კანონის მოქმედების სფერო არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ფლობენ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-60 მუხლით გათვალისწინებულ საქართველოში დროებითი ყოფნის უფლებას.

გარდა ამისა, ცვლილება შევიდა „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს ამ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საფუძველს. ამავე მუხლს დაემატა 3[3] პუნქტი, რომლის თანახმადაც დადგინდა, რომ ამავე კანონის მე-15-16[6] მუხლების დარღვევისათვის პირის მიერ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება, არ აფერხებს შრომითი იმიგრანტის საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვას ან/და შრომითი იმიგრანტის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას.

ნორმატიული აქტი:

„შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

1 სექტემბერი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6909232?publication=0

! ამავე კონტექსტში ცვლილება შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც დარედაქტირდა გრძელვადიანი და D1, D3, D6 ვიზების გაცემის პროცედურები და სხვ.

ცვლილება შევიდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში ვიზის გაცემის ზოგად პირობებს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ გრძელვადიანი ვიზა გაიცემა მრავალჯერადი შესვლის უფლებით, 90 კალენდარული დღის ან 1 წლის მოქმედებისა და საქართველოში ყოფნის ვადით. გრძელვადიანი ვიზა 1 წლის მოქმედების ვადით გაიცემა D5 კატეგორიისა და D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების გაცემის შემთხვევაში. გრძელვადიანი ვიზა დიპლომატიური აკრედიტაციის ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების წინაპირობაა, თუ ამ კანონით ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, განისაზღვრა D1 კატეგორიის გაცემის წინაპირობები, რომლის თანახმადაც, D1 კატეგორიის ვიზა გაიცემა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად საქართველოში მომავალ უცხოელზე, რომელმაც მიიღო შრომითი საქმიანობის უფლება. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში ამ კატეგორიის ვიზა შეიძლება გაიცეს აგრეთვე პირზე, რომელიც საქართველოში ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელზედაც არ ვრცელდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

აგრეთვე განისაზღვრა ის შემთხვევა, რა დროსაც გაიცემა D3 კატეგორიის ვიზა. აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტით D3 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან მის ბაზაზე სასწავლებლად ან კვლევის ჩასატარებლად მომავალ/მყოფ სრულწლოვან პირზე; საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში საქართველოში სასწავლებლად მომავალ/მყოფ პირზე.

ამავე მუხლს დაემატა „დ.ვ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრა, რომ D6 კატეგორიის ვიზა გაიცემა საქართველოში ავტორიზებულ უმაღლეს ან პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ/მყოფ არასრულწლოვან პირზე; საქართველოში ავტორიზებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლებლად მომავალ/მყოფ არასრულწლოვან პირზე მის მიერ სრული ზოგადი განათლების დასრულებამდე. თუ უცხოელი არასრულწლოვანია, ამ კატეგორიის ვიზა შეიძლება გაიცეს აგრეთვე მის მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე და არასრულწლოვან და-ძმაზე უცხოელის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე.
ცვლილება შევიდა დამატებით ამავე კანონის მე-9 მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების წესებს. ამავე მუხლს დაემატა 21 პუნქტი, რომელმაც დაადგინა D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზის მოქმედების გაგრძელების შემთხვევები.

გარდა ამისა, დამატებით განისაზღვრა, რომ საქართველოს დიპლომატიური და სპეციალური ვიზების, აგრეთვე D3 კატეგორიის, D5 კატეგორიისა და D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ხოლო, D3 კატეგორიის, D5 კატეგორიისა და D6 კატეგორიის საიმიგრაციო ვიზების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად საჭირო დოკუმენტაციის მიღებას უზრუნველყოფენ იუსტიციის სახლი და სააგენტო. სააგენტოს აღნიშნული უფლებამოსილება შეიძლება დელეგირების ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცეს მუნიციპალიტეტს.
ამასთანავე განისაზღვრა, რომ იმ უცხოელს, რომელმაც საქართველოს ვიზების მოქმედების ვადის გასაგრძელებლად სავიზო განაცხადი წარადგინა, შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოებს განმავლობაში საქართველში ყოფნის ვადა საპატიოდ ჩაეთვლება და იგი გათავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჯარიმის გადახდის ვალდებულებისაგან. აგრეთვე, დამატებით განისაზღვრა, რომ საქართველოს ვიზების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უცხოელი არ შეიძლება გაძევებულ იქნეს საქართველოდან.

ამავე კანონს დაემატა 21 მუხლი, რომლითაც დარეგულირდა ამ კანონის საფუძველზე საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების, აგრეთვე სააგენტოს მიერ ამ კანონის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი.
აღნიშნული ცვლილების თანახმად, სააგენტოს მიერ ამ კანონის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) და საჩივრდება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.
ამ წესიდან გამონაკლისს ითვალისწინებს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, დადგინდა, რომ ამ კანონის საფუძველზე საქართველოს ვიზის გაცემაზე უარის თქმასთან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს ვიზის გაცემაზე უარი არ საჩივრდება) ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება – სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დარეგულირდა, რომ უცხოელის მიერ სარჩელის/სააპელაციო საჩივრის გამოხმობა ან სარჩელზე უარის თქმა, აგრეთვე სარჩელის განუხილველად დატოვება, აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება ან/და სასამართლოსთვის სარჩელით ხელახლა მიმართვა არ აფერხებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ უცხოელის საქართველოდან გაძევების საკითხის განხილვას ან/და უცხოელის საქართველოდან გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას.
ცვლილება შევიდა აგრეთვე ამავე კანონის მე-15 მუხლში, რომელიც არეგულირებს ბინადრობის ნებართვის სახეებს. ამავე მუხლის “მ” ქვეპუნქტის თანახმად, ერთ-ერთ ბინადრობის ნებართვის სახეს წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში დასაქმებული პირის დროებითი ბინადრობის ნებართვა.

ცვლილების თანახმად, აღნიშნულ პირებზე დროებითი ბინადრობის ნებართვა გაიცემა შრომით იმიგრანტსა და საქართველოში მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირად რეგისტრირებულ უცხოელზე, რომელთაც მიღებული აქვთ შრომითი საქმიანობის უფლება და რომლებიც ახორციელებენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საქმიანობას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, და მათი ოჯახის წევრებზე, აგრეთვე ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოქმედი საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირზე, რომელმაც მიიღო შრომითი საქმიანობის უფლება, და მისი ოჯახის წევრებზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოქმედი საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილმა პირმა სააგენტოს უნდა წარუდგენინოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მოქმედი საერთაშორისო კომპანიის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტი.

შრომითი საქმიანობის უფლების მქონე შრომითი იმიგრანტი, აგრეთვე შრომითი საქმიანობის უფლების მქონე უცხოელი, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირად და ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ საქმიანობას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, სააგენტოს უნდა წარუდგინოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შრომითი ან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების არანაკლებ 2 წლის გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტი და ცნობა, რომლითაც დასტურდება, რომ მის მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში შრომითი ან ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული ანაზღაურების ოდენობა წლიურად 25 000 აშშ დოლარის ლარში ეკვივალენტზე ნაკლები არ არის.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში ამ სახის ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს აგრეთვე პირზე, რომელიც საქართველოში ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელზედაც არ ვრცელდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ საჭირო დოკუმენტების წარდგენის წესი და წარსადგენი დამატებითი დოკუმენტები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ნორმატიული აქტი:

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

1 სექტემბერი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6910359?publication=0

2026 წლის 1 აპრილს მიღებულ იქნა „ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც ამ კანონმა განსაზღვრა ფაქტორინგის ცნება და საგანი, ფაქტორინგის მხარეები, მათი უფლებები და მოვალეობები, ფაქტორინგის სახეები, ფაქტორინგის განხორციელების პირობები და წესი.

ამავე კანონის მე-3 მუხლის მიხედვით განისაზღვრა ფაქტორინგის ცნება. კერძოდ, ფაქტორინგი არის გარიგება, რომელიც გულისხმობს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დებიტორული დავალიანების გადაცემას და რეგისტრირებულია ფაქტორინგის რეესტრში, რის შედეგადაც დებიტორული დავალიანებიდან გამომდინარე მოთხოვნაზე საკუთრების უფლება შესაბამის ფაქტორს გადაეცემა.

ფაქტორინგის მხარეები არიან მოთხოვნის დამთმობი მხარე და ფაქტორი.
ფაქტორინგის განხორციელებისა და ფაქტორინგთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის უფლება აქვთ მხოლოდ ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ სუბიექტებს, კერძოდ კომერციული ბანკს, მიკრობანკს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, ფაქტორინგული კომპანიას.

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით ფაქტორინგული კომპანიას უფლება აქვს განახორიელოს შემდეგი საქმიანობა:

- ფაქტორინგი;
- ფაქტორინგთან დაკავშირებული მომსახურება.

ამავე კანონის თანახმად, განისაზღვრა პირის ფაქტორინგულ კომპანიად რეგისტრაციის წინაპირობები. პირი ვალდებულია დარეგისტრირდეს ფაქტორინგულ კომპანიად, თუ მას მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, დროის ნებისმიერ მონაკვეთში აქვს მოთხოვნის უფლება ერთდროულად სულ მცირე 5 დებიტორულ დავალიანებაზე.

აგრეთვე, პირს უფლება აქვს, განახორციელოს ფაქტორინგი მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მისი ფაქტორინგულ კომპანიად რეგისტრაციის შემდეგ.
ფაქტორინგული კომპანიის რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესს ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საქართველოს ეროვნული ბანკი რეგისტრირებული ფაქტორინგული კომპანიების შესახებ ინფორმაციას თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს.

ECOVIS®

ნორმატიული აქტი:

„ფაქტორინგის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

ამ კანონის 1-32 მუხლები ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან, ხოლო 1-32 მუხლების გარდა, სხვა დანარჩენი მუხლები ამოქმედდა გამოქვეყებისთანავე.

წყარო: https://matsne.gov.ge/document/view/6825189?publication=0

! ცვლილება შევიდა „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც განსაზღვრავს გრანტის ცნებას.

განხორციელებული ცვლილებების თანახმად, გრანტად არ მიიჩნევა სამეწარმეო მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები. კანონის მიხედვით, ასევე მოწესრიგდა ის შემთხვევები, რომელიც არ ექცევა სამეწარმეო მიზნების რეგულირების სფეროში.

აღნიშნულს წარაოადგენს იმ იურიდიული პირისათვის გადაცემული სახსრები, რომელსაც მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, აგრეთვე საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, რომელიც გრანტს გასცემს საწესდებო მიზნების განსახორციელებლად და საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტი – სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ საწესდებო მიზნების განსახორციელებლად მიღებული გრანტის შემთხვევაში.

ნორმატიული აქტი:

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

25 ივნისი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6907523?publication=0

! ცვლილება შევიდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის 6^2 მუხლით განისაზღვრა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების დროებითი წესი.

2026 წლის 10 ივნისს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-62 მუხლში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზაღვრა, რომ 2030 წლის 1 იანვრამდე საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან თავისუფლდება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, საჩივართან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საქმეზე.
აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

2026 წლის 10 ივნისს დამატებით განხორციელდა ცვლილება ამავე კანონის მე-5 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევებს. ამავე მუხლის „ძ“ ქვეპუნქტში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო შესყიდვების სააგენტო, როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, – სარჩელზე საჯარო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე.

ამავე მუხლს დაემატა ჰ[3] პუნქტი, რომელმაც დამატებით განსაზღვრა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან დამატებით გათავისუფლების შემთხვევა. კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდება საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო (შემდგომ – საბჭო), როგორც მოსარჩელე ან მოპასუხე, – საჩივართან დაკავშირებით საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებულ საქმეზე.
აღნიშნული ცვლილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვრა 2030 წლის 1-ლი იანვარი.

ნორმატიული აქტი:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

1 იანვარი, 2030 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6907523?publication=0

2026 წლის 28 მაისს ცვლილება შევიდა „ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც ერთი მხრივ, მოდიფიცირებულ იქნა რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების დებულებები, ხოლო მეორე მხრივ კანონში გაჩნდა ახალი ჩანაწერი ტურისტული საქმიანობის სუბიექტების ბაზაში რეგისტრაციის შესახებ.

ცვლილებების მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციას მიენიჭა უფლებამოსილება ტურისტული საქმიანობის სუბიექტების შესახებ მონაცემების აღრიცხვის უზრუნველსაყოფად აღრიცხოს ტურისტული საქმიანობის სუბიექტები და დაამუშაოს შესაბამისი მონაცემები.

აქვე განისაზღვრა ტურისტული საქმიანობის სუბიექტის დეფინიცია, კერძოდ ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ტურისტული გიდი, ტუროპერატორი, ტურისტული სააგენტო (ტურაგენტი), რომლებიც ვალდებული არიან ტურისტული საქმიანობის შესახებ მონაცემების აღრიცხვის უზრუნველსაყოფად დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ტურისტული საქმიანობის სუბიექტების ბაზაში.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ტურისტული საქმიანობის სუბიექტს დაეკისრა ვალდებულება შესაბამისი საქმიანობის დაწყების ან შეწყვეტის ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში წერილობით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდების.

ცვლილება შევიდა ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების ნუსხას და მათი განხორციელების წესს ადგენს საქართველოს მთავრობა შესაბამისი დადგენილებით, რომელშიც ასევე განისაზღვრება რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებები, რომელთა მიმწოდებლებს ევალებათ, ჰქონდეთ პროფესიული პასუხისმგებლობის ან/და სამოქალაქო პასუხისმგებლობის სადაზღვევო მოწმობა (პოლისი), ასევე ადგენს დაზღვევის პირობებს და მისი განხორციელების წესს.

ცვლილება შევიდა, აგრეთვე ამავე კანონის 34-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების წესს.
„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი ადგენს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების დეფინიციას, რომლის თანახმადაც რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებაა მოგზაურობისას რისკის შემცველი აქტივობა, რომელიც ხორციელდება მიწაზე, წყალში, ჰაერში, სხვადასხვა რელიეფისა და კლიმატური ზონის, უჩვეულო, ეგზოტიკურ, მოშორებულ, დაუსახლებელ (მიუვალ) ადგილას ან სპეციალურად მოწყობილ და აღჭურვილ არეალში და შეიცავს მომხმარებლების დაზიანებისა და ტურისტული აქტივობიდან გამომდინარე სხვა საფრთხეებს.

„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კი, რისკის შემცველი ტურისტული მომსახურება ხორციელდება ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.
რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებების განხორციელების სფეროები და შესაბამისი უფლებამოსილებები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების ტექნიკური რეგლამენტით.
რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ ამ კანონის შესაბამისად უფლებამოსილ პირს.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებები, რომელთა განმახორციელებელ პირთა (პერსონალის) სერტიფიცირებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. საქართველოს მთავრობის დადგენილებით ასევე განისაზღვრება რისკის შემცველი ტურისტული მომსახურებები, რომელთა მიმწოდებლებს მათი განხორციელების უფლებას მიანიჭებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ან საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია აწარმოებს რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების მიმწოდებელთა რეესტრს.

სერტიფიცირებული პირების (პერსონალის) მიერ სერტიფიცირების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მათ მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას.

ამავე ცვლილებებით განისაზღვრა აგრეთვე სანქციები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც რისკის შემცველ ტურისტულ მომსახურებას ახორციელებს ის პირი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი სერტიფიკატი, აგრეთვე, როდესაც პირის მიერ რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების რისკის შემცველი ტურისტული მომსახურების განხორციელების ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნის (მოთხოვნების) დარღვევით ხორციელდება.

ნორმატიული აქტი:

„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

1 ივნისი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6873293?publication=0

! ცვლილება შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლითაც განისაზღვრა უმკვიდრო ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შემთხვევები.

განხორციელებული ცვლილებების თანახმად, უმკვიდრო ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის იმ შემთხვევაში, როდესაც არც კანონით მემკვიდრეები და არც ანდერძით მემკვიდრეები არ არიან, არცერთმა მემკვიდრემ არ მიიღო სამკვიდრო ან ყველა მემკვიდრეს ჩამოერთვა მემკვიდრეობის უფლება.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

23 ივნისი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6803333?publication=0

! ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1145-ე მუხლში, რომლითაც განისაზღვრა ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის წინაპირობები

2026 წლის 25 ივნისის ცვლილების მიხედვით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1145-ე მუხლს დაემატა „2^1“ ქვეპუნქტი, რომლითაც განისაზღვრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344 -ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული, კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ითვლება შესაბამისი ქორწინების სამოქალაქო აქტის ჩანაწერი.

ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი დარედაქტირდა და განისაზღვრა, რომ ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ სარჩელის აღძვრის უფლება აქვს სააგენტოს, გარდა ზემოთ გათვალისწინებული შემთხვევისა, ხოლო თუ ერთ-ერთი მეუღლე ისე დაქორწინდა, რომ მისი მიზანი არ ყოფილა ოჯახის შექმნა, ასეთი სარჩელის აღძვრა მეორე მეუღლესაც შეუძლია.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

1 ივლისი 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6909217?publication=0

! ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509^2-ე მუხლში, რომელსაც დაემატა მე-5 ნაწილი და განისაზღვრა მოქმედი სისხლის გადასხმის დაწესებულებების/სისხლის ბანკის იურიდიულ პირად რეგისტრაციის წესი.

ცვლილების მიხედვით, 2025 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მოქმედ სისხლის დაწესებულებას (სისხლის გადასხმის დაწესებულებას/სისხლის ბანკს), რომელიც „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 21 მარტის კანონისა და სათანადო სამართლებრივი აქტების შესაბამისად კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით ფუნქციონირებდა, უფლება აქვს, 2026 წლის 1 ივნისამდე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად დარეგისტრირდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთხსენებული სისხლის დაწესებულებების საჯარო რეესტრისათვის მიმართვის მიზანია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეგისტრაცია, აგრეთვე მისი ვალდებულებებისა და შესაბამისი ქონებრივი საკითხების რეგულირების გამოიყენება ამავე კანონის მე-3 და მე-4 ნაწილები. კერძოდ, 1509^2-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სისხლის დაწესებულების საჯარო რეესტრისათვის მიმართვის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი სისხლის დაწესებულების შესახებ ფუნქციონირების ინფორმაციას აწვდის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენტური სამსახურს. ხოლო, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, სისხლის დაწესებულება არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად უნდა დარეგისტრირდეს 2025 წლის 1 სექტემბრამდე. მისი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად რეგისტრაციის, გარდაქმნილი სუბიექტის ვალდებულებებისა და შესაბამისი ქონებრივი საკითხების რეგულირების მიზნებისთვის გამოიყენება ამ კოდექსითა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით საწარმოს რეორგანიზაციისთვის დადგენილი წესები იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც საჭიროა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მიზნებისთვის.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

1 აპრილი 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6825895?publication=0

ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII11 თავში, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა საგადასახადო ორგანოს მიერ კომერციული ბანკისაგან, მიკრობანკისაგან, საგადასახადო მომხსახურების პროვაიდერისაგან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისაგან, სესხის გამცემი სუბიექტისაგან, ვალუტის გადამცვლელი პუნქტისაგან, საბროკერო კომპანიისაგან, ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტორისაგან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისაგან, აქტივებს მმართველი კომპანიისაგან, საინვესტიციო კომპანიისაგან, ფაქტორინგული კომპანიისაგან, ფაქტორინგული პლატფორმისაგან პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების სამართალწარმოების წესები.

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[45]-ე მუხლის საფუძველზე, ზემოთდასახელებული დაწესებულებებიდან საგადასახადო ორგანოსათვის პირის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე გასცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, პირის ადგილსამყოფელის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე.

გარდა ამისა, ამავე კოდექსის 21[46]-ე მუხლის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო შემოწმებისას სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ზემოთდასახელებული დაწესებულებებიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე, თუ საგადასახადო ორგანომ ამ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთხელ მაინც მიმართა ინფორმაციის წარდგენის შესახებ, მაგრამ მან აღნიშნული ინფორმაცია დადგენილ ვადაში არ წარუდგინა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო ორგანოს მიერ წარსადგენ შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს იმ პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის შესახებაც ორგანოს სურს მიიღოს ინფორმაცია, აგრეთვე უნდა დაკონკრეტდეს, თუ ზემოთ დასახელებული რომელი დაწესებულებიდან უნდა იქნეს ინფორმაცია მიღებული, აგრეთვე უნდა აღიწეროს ის ინფორმაცია, რომლის მიღებასაც საგადახადო ორგანო ითხოვს და უნდა მიეთითოს თუ რა ფორმით და რა ვადაში უნდა მიიღოს საგადახადო ორგანომ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ცვლილება განხორციელდა აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის VII[12] -ე თავში, რომლის 21 -ე მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომერციული ბანკის, მიკრობანკის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის, საბროკერო კომპანიის, ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, აქტივების მმართველი კომპანიის, საინვესტიციო კომპანიის, ფაქტორინგული კომპანიის,

ფაქტორინგული პლატფორმის მიერ საგადასახადო ორგანოსთვის პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ბრძანებას საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე ამ კომერციული ბანკის, მიკრობანკის, საგადახდო მომსახურების პროვაიდერის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის, საბროკერო კომპანიის, ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, აქტივების მმართველი კომპანიის, საინვესტიციო კომპანიის, ფაქტორინგული კომპანიის, ფაქტორინგული პლატფორმის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ნორმატიული აქტი:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

.2027 წლის 1 იანვარი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/16492?publication=110

! ცვლილება შევიდა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ნაწილის მე-4 პუნქტში, რომლითაც განისაზღვრა სავალდებულო დაზღვევის ცნება

ცვლილებების თანახმად, სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონმდებლობით სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

ნორმატიული აქტი:

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

1 ივნისი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6873133?publication=0

! ცვლილება შევიდა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების წესები და პირობები

განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო. ამასთან, გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეგულირების შემოღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ნებართვას გასცემს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო თვითმმართველ ქალაქში – მისი აღმასრულებელი ორგანო ან თვითმმართველი ქალაქის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ნორმატიული აქტი:

„რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი

ცვლილების ამოქმედების თარიღი:

27 მაისი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6870288?publication=0

საკონტაქტო ინფორმაცია

აფაქიძის ქ.5, ტიფლის ბიზნეს
ცენტრის მე-11 სართული, თბილისი

+995 032 243 22 81
tbilisi@ecovis.ge
www.ecovis.ge